საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

აკადემიის რექტორი: ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე

ქ. გორი, 2022წ.

2022 წელს შესრულებული ღონისძიებები

- აკადემიამ მოიპოვა ექვსწლიანი ავტორიზაცია;
- ორი ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (უსაფრთხოების კვლევები და სახელმწიფო რესურსების მართვა) აკრედიტაცია;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების შიდა და გარე შეფასება;

2022 წელს შესრულებული ღონისძიებები

- ჩატარდა 10 კონფერენცია (3 საერთაშორისო, 2 სტუდენტური, 3 სამეცნიერო, 2 სამხედრო)
- გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატიები საერთაშორისო სამეცნიერო ნაშრომთა კრებულებში.
- ჩატარდა პერსონალის პროფესიული განვითარების ტრენინგების (სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები);
- განხორციელდა აბიტურიენტებთან საინფორმაციო ონლაინ შეხვედრები ,,Zoom”-ის პლატფორმის მეშვეობით (476 სკოლა);

2022 წელს შესრულებული ღონისძიებები

- იუნკერთა სასწავლო ბატალიონის I კურსზე სპეციალური ოპერაციების ძალების მიერ (მუხროვანის ბაზა) ჩატარდა მარტოხელა მებრძოლის კურსი;

- იუნკერთა სასწავლო ბატალიონის II კურსზე და საკანდიდატო კურსზე ჩატარდა სამთო მომზადების ზაფხულის საბაზისო კურსი;

- იუნკერთა სასწავლო ბატალიონის III კურსზე ჩატარდა წყალზე მომზადების კურსი;

- იუნკერთა სასწავლო ბატალიონის IV კურსის იუნკერები და საკანდიდატო კურსის მსმენელები იმყოფებოდნენ სტაჟირებაზე თავდაცვის ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფში ოცეულის მეთაურის რანგში.

2022 წელს შესრულებული ღონისძიებები

- იუნკერთა სასწავლო ბატალიონის III კურსელი იუნკერების ვიზიტი თავდაცვის ძალების დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებში;
- იუნკერთა სასწავლო ბატალიონის <u>IV კურსელი იუნკერების და საკანდიდატო კურსის მსმენელების ვიზიტი სახელმწიფო უწყებებში:</u> უზენაესი სასამართლო, პარლამენტი, თავდაცვის სამინისტრო, გენერალური შტაბი , პრეზიდენტის სასახლე, შსს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი, შსს საგანგებო სიტუაციების სასწავლო ცენტრი, სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი დელტა, ეროვნული მუზეუმი, საპატრიარქო, ძმათა სასაფლაო მუხათგვერდი;
- <u>მოწვეული სტუმრები იუნკერთა სასწავლო ბატალიონის IV კურსელ იუნკერებთან და საკანდიდატო კურსის მსმენელებთან:</u> თავდაცვის ძალების მთავრი სერჟანტი, გენერალური შტაბის J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, აღმოსავლეთის სარდალი, ავიაციის და საჰაერო თავდაცვის სარდალი, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდალი, ეროვნული გვარდიის უფროსი, სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაური, წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდალი.

2022 წელს შესრულებული ღონისძიებები

- იუნკერთა სასწავლო ბატალიონის IV კურსის იუნკერთა და საკანდიდატო კურსის მსმენელებთა გამოშვების ცერემონიალი;
- საშუალო სპეციალური წოდების - თავდაცვის ლეიტენანტის მისანიჭებელი სამკვირიანი დისტანციური კურსი;
- „სამეთაურო-საშტაბო სწავლება შურდული-2022“;
- იუნკერთა სასწავლო ბატალიონის იუნკერების მონაწილეობით გორის კულტურისა და ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა თეატრალური წარმოდგენა ,,იუნკერი“, ,,დავით აღმაშენებელი“, „ბაგრატ III “ და საახალწლო წარმოდგენა.

2022 წელს შესრულებული ღონისძიებები

- აკადემიის ტერიტორიაზე მოეწყო ტაქტიკური სწავლების ღია მოედანი;
- დასრულდა აკადემიის ადმინისტრაციული შენობის რემონტი და ღია ვერანდის მოწყობა;
- ჩატარდა შიდა სამუშაოები წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში;
- მოეწყო და აღიჭურვა სასტუმრო, შვიდ პირზე;
- წლის განმავლობაში ხორციელდებოდა აკადემიის ტერიტორიის გამწვანების სამუშაოები.

2022 წელს შესრულებული ღონისძიებები

- <u>აკადემიაში განხორციელდა უცხოელი მაღალი რანგის სტუმრების ვიზიტი:</u> საფრანგეთის ელჩის და თავდაცვის ატაშე, სომხეთის თავდაცვის უნივერსიტეტის ხელმძღვანელი პირები, აზერბაიჯანის და თურქეთის საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორები, დანიის სამხედრო აკადემიის წარმომადგენლები, აკრედიტებული უცხო ქვეყნების სამხედრო ატაშეები, DEEP წარმომადგენელთა სამუშაო ჯგუფი, ნორვეგიის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

- <u>აკადემიის ხელმძღვანელობამ მონაწილეობა მიიღო საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში:</u> ბულგარეთის სამხედრო კოლეჯში, ჩეხეთის თავდაცვის უნივერსიტეტში, აშშ-ში დისტანციური სწავლების კონფერენციაზე.

2022 წელს შესრულებული ღონისძიებები

- აკადემიის პირდი შემადგენლობა მონაწილეობას იღებდა სამხედრო, სპორტულ, აკადემიურ და სამეცნიერო გაცვლით პროექტებში შემდეგ ქვეყნებში: აშშ, რუმინეთი, ლიეტუვა, ლატვია, თურქეთი, იტალია, საფრანგეთი, ბულგარეთი, უნგრეთი აზერბაიჯანი, ჩეხეთი, ბოსნია ჰერცეგოვინა, საბერძნეთი, გერმანია (სულ 59 მოსამსახურე).

- აკადემიის ორგანიზებით გაიმართა კადეტთა მეექვსე საერთაშორისო კვირეული, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 6 უცხოური და 4 ქართული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებმა;

- აკადემიაში ვიზიტით იმყოფებოდნენ სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო სასწავლებლიდან წარმომდგენლები: ამერიკა, რუმინეთი, ლიეტუვა, ლატვია, თურქეთი, იტალია, საფრანგეთი, ბულგარეთი, უნგრეთი აზერბაიჯანი, დანია, ჩეხეთი, საბერძნეთი (სულ 98 მოსამსახურე).

2022 წელს შესრულებული ღონისძიებები

- განახლდა აკადემიის სტრატეგია;
- შემუშავდა/დამტკიცდა აკადემიაში დისტანციური ფასიანი კურსების ჩატარების წესი;
- დამტკიცდა აკადემიაში აკადემიის მიერ სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე გრანტის გაცემის წესი;
- განხორციელდა ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების სტანდარტის განახლება/სრულყოფა;
- აკადემიის ინიცირებით განხორციელდა ცვლილება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში: შეიზღუდა სტუდენტის სტატუსის შეჩერების უფლება, განისაზღვრა კონკრეტული პირობები, რომელთა საფუძველზეც ექნება აკადემიის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იუნკერს აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.
- შემუშავდა აკადემიის იუნკერთა და მსმენელთა სადისციპლინო წესდების პროექტი.

2022 წელს შესრულებული ღონისძიებები

- განხორციელდა სამი აუდიტორული შემოწმება (პერსონალის დატვირტვის, სატრანსპორტო საშუალებებისა მომსახურების და კავშირგაბმულობის და ორგტექნიკის საშუალებების შესახებ);

- მოეწყო აკადემიის არქივის საცავი და მოხდა იქ არსებული დოკუმენტაციის 1992 წლიდან 2016 წლის ჩათვლით ინვენტარული წყობიდან მუდმივად, ხანგრძლივად და დროებით შესანახ დოკუმენტებად დაჯგუფება;

- განხორციელდა „საზაფხულო ბანაკი“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი რეგიონის საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის (სამი ეტაპი);

- განხორციელდა საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეების გაცნობითი ხასიათის ვიზიტები ეროვნული თავდაცვის აკადემიაში.

მიმდინარე ძირითადი ღონისძიებები;

- მუშაობა იუნკერთა პიროვნული განვითარების სტრატეგიაზე;
- აკადემიის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი;
- აკადემიაში მაგისტრატურაზე და ბაკალავრიატზე არსებული მიმართულებების მიხედვით დაწყებულია 18 სამეცნიერო კვლევითი პროექტი (3 დასრულებული, 15 მიმდინარე);
- აკადემიაში კვლევითი საქმიანობის შეფასება;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
- დისტანციური სასწავლო კურსების ჩასატარებლად კურსების განვითარება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

მიმდინარე ძირითადი ღონისძიებები;

- ახალი რეკრეაციული ზონის მოწყობა (ტაძრის მიმდებარე ტერიტორია, პარკის სივრცე/გამწვანება);
- ავტოპარკის მოწყობა;
- შენობების რემონტების დასრულება;
- აკადემიის ტერიტორიაზე წყალგაყვანილობის და გათბობის სისტემის შეკეთება;
- ტაძრის ტერიტორიის მოპირკეთება ბეტონის საფარით;
- სასადილოს ცხელი საამქროს რემონტი;
- გათბობის სისტემის მოწესრიგება.

2023 წელს დაგეგმილი ძირითადი ღონისძიებები

- აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების „თავდაცვა და უსაფრთხოების“ და „თავდაცვის ანალიზის“ აკრედიტაცია;
- აკადემიის აკადემიური პერსონალის დატვირთვის ბადის ცვლილება;
- 10 კონფერენციის ჩატარება (3 საერთაშორისო, 2 სტუდენტური, 3 სამეცნიერო, 2 სამხედრო);
- სამეცნიერო ნაშრომთა კრებულების გამოცემა;
- წიგნების და მონოგრაფიების დაბეჭდვა;
- ბაკალავრიატის და მაგისტრატურის აკადემიური პერსონალისათვის, "ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში" მოდულის შექმნა და პილოტირება;
- თავდაცვის ძალების დაკვეთით დისტანციური სასწავლო კურსების ჩატარება;

2023 წელს დაგეგმილი ძირითადი ღონისძიებები

- განაცხადის გაკეთება 2023-2024 სასწავლო წელს ბაკალავრიატის და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე პერსონალის მისაღებად;

- საქართველოს მასშტაბით აკადემიის ცნობადობის ამაღლების მიზნით საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება აბიტურიენტებთან;

- 2023-2024 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე (კვოტა-ბაკალავრიატი 120 იუნკერი, მაგისტრატურა 90 იუნკერი) და სამხედრო საგანმანათლებო პროგრამებზე (კვოტა-საკანდიდატო 70 მსმენელი , რეზერვი 50 მსმენელი) იუნკერების/მსმენელების მიღება.

2023 წელს დაგეგმილი ძირითადი ღონისძიებები

იუნკერთა სასწავლო ბატალიონის იუნკერებთან და საკანდიდატო კურსის მსმენელებთან დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

- ვიზიტი თავდაცვის ძალების დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებში;
- ვიზიტი სახელმწიფო უწყებებში;
- სტაჟირება თავდაცვის ძალების სხვა და სხვა ქვედანაყოფში;
- მარტოხელა მებრძოლის კურსი;
- სამთო მომზადები საბაზისო კურსი;
- წყალზე მომზადების კურსი;
- საპარაშუტე მომზადების კურსი.
- კულმინაციური საველე სწავლება 150კმ მარშით;

2023 წელს დაგეგმილი ძირითადი ღონისძიებები

- ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის ვიზიტი იტალიაში თავდაცვის სწავლების უმაღლეს ცენტრში;
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის ვიზიტი კომენდანტების 52-ე კონფერენციაზე ესტონეთში,
- რექტორების სამმხრივი შეხვედრა (თურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) და კადეტთა სპორტული შეჯიბრი (ღონისძიება ჩატარდება აზერბაიჯანში);
- საფრანგეთის სენ-სირის სამხედრო სკოლის ოთხი კადეტის სასწავლო ვიზიტი ეთა-ში (მომზადება რუსულ ენაში);
- ამერიკის ჩრდილოეთ ჯორჯიის უნივერსიტეტის კადეტის სტაჟირება საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ;
- კადეტთა მეშვიდე საერთაშორისო კვირეული აკადემიაში;
- ამერიკის სამხედრო აკადემიის 2 კადეტის ვიზიტი აკადემიაში ;
- იუნკერების მონაწილეობა სამხედრო, აკადემიურ და სამეცნიერო გაცვლით პროექტებში შემდეგ ქვეყნებში: ამერიკა, რუმინეთი, ლიეტუვა, ლატვია, თურქეთი, იტალია, საფრანგეთი, ბულგარეთი, უნგრეთი;
- აკადემიის ინგლისური ენის მასწავლებლების გაცვლითი პროგრამა ლიეტუვის სამხედრო აკადემიაში.

2023 წელს დაგეგმილი ძირითადი ღონისძიებები

- დახურული ტირის მოწყობა (პნევმატური იარაღისთვის);
- სტადიონისა და სარბენი ბილიკის მოწყობა;
- საზაფხულო ბანაკის მოწყობა;
- აკადემიის ბაკალავრიატის იუნკერთა სტიპენდიის ოდენობის, სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმებისა და წესის ცვლილება;
- რონდელის ფონდის სტიპენდიის მოპოვების წესის დამტკიცება;
- აკადემიის იუნკერთა/მსმენელთა სადისციპლინო წესდების დამტკიცება;

ინიციატივები:

- საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრიატი -სამართალმცოდნეობა და მაგისტრატურა-დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა) შემუშავება და აკრედიტაცია;
- ზამთრის სამთო მომზადების კურსის ჩატარება.